ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №3162400

ნომერი: AR1488014

თარიღი : 20.03.2017

გაცემის თარიღი : 29.03.2017

გაცნობის თარიღი : 06.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 68 , ნაკვ.09/052 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილ მაღლაფერიძე პ/ნ 01015000324
- თბილისი ვ.გორგასალის ქ. N 39 ბ. 17

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 18 აპრილის №2538478 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 20 მარტის №AR1488014 განაცხადით მომართა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალურმა დირექტორმა, ვასილ მაღლაფერიძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 18 აპრილის №2538478 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, ობიექტის ფუნქციის შეცვლის გამო.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 18 აპრილის

№2538478 ბრძანებით, ქალაქი თბილისში, კოსტავას ქუჩა, N68-ში, (ნაკვ.09/052) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.14.009.052), საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის ფუნქციით – ოფისი (სტუდია) საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2)–ის, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ–6)–ის და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)–ის პარამეტრებით და პირობებით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
განმცხადებელი ითხოვს, აღნიშნულ აქტს დაემატოს ახალი ფუნქცია, რადგან იგეგმება საკადასტრო გეგმით N22/4, 25/4, 26/4 და მიმდებარედ არსებული ნაგებობების რეკონსტრუქცია და ახალი საინფორმაციო სტუდიის აშენება ერთიანი კომპლექსის ფარგლებში.
ვინაიდან, ტერიტორიაზე არსებულ ფუნქციურ ზონაში დასაშვებია მოთხოვნილი ფუნქციით ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია 2016 წლის 18 აპრილის №2538478 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შევიდეს აღნიშნული ცვლილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

## ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 18 აპრილის №2538478 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: ოფისი (სტუდია) და ტერიტორიაზე არსებული შენობა–ნაგებობების რეკონსტრუქცია ერთიანი კომპლექსის ფარგლებში;
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 18 აპრილის №2538478 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში მშენებლობის სახეობად დაფიქსირდეს: ახალი მშენებლობა, რეკონსტრუქცია;
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 18 აპრილის №2538478 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ჩანაწერი: „გაფრთხილება: დაცულ იქნეს ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი, ახალი შენობა–ნაგებობა განთავსდეს საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2)–ის არეალში, ხოლო ტერიტორიაზე არსებული შენობა–ნაგებობების რეკონსტრუქცია შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2)–ის ასევე საცხოვრებელი ზონა 6 (სზ–6)–ის არეალში (იხილეთ დანართი);“;
4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 18 აპრილის №2538478 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ჩანაწერი: „საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს ტერიტორიაზე არსებული შენობა–ნაგებობების დემონტაჟი და ტერიტორიიდან გატანა, რაც უნდა აისახოს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში;“;
5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 18 აპრილის №2538478 ბრძანებასთან ერთად;

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.